თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

სტრატეგიული განვითარების გეგმის (2019-2025) და სამოქმედო გეგმის (2019-2021) მონიტორინგის მექანიზმები

დამტკიცებულია:	დადგენილების # და თარიღი
	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N2 21.01.2019
შეტანილია ცვლილება:	დადგენილების # და თარიღი
	მუხლის მითითება, რომელშიც შეტანილია ცვლილება

* -

თბილისი - 2019

სტრატეგიული განვითარების გეგმის (2019-2025)
და სამოქმედო გეგმის (2019-2021) მონიტორინგის მექანიზმები

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა (2019-2025) და სამოქმედო გეგმის (2019-2021) შესრულების მონიტორინგი და შეფასების განხორციელება მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:
    - ინფორმაციის შეგროვება;
    - ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის;
    - ინფორმაციის ანალიზი;
    - დასკვნების შემუშავება.
2. დასახული ამოცანების განხორციელების ეტაპზე მონიტორინგის საშუალებით მოწმდება, რამდენად ეფექტიანად სრულდება სტრატეგიული განვითარების გეგმა და მიიღწევა თუ არა დაგეგმილი შედეგები.

3. მონიტორინგის ჯგუფების საქმიანობა

3.1. მონიტორინგს ექვემდებარება სტრატეგიული განვითარების გეგმასა (2019-2025) და სამოქმედო გეგმაში (2019-2021) მიმდინარე პროცესები, რომელთათვისაც დადგენილია ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები.

3.2. მონიტორინგს ახორციელებს სპეციალურად შექმნილი ჯგუფები შემდეგი შემადგენლობით:

სტრატეგიული მიზნები	**მონიტორინგის ჯგუფი**	**მონიტორინგის ვადები**
1. ორგანიზაციული განვითარება	**ჯგუფის ხელ-ლი:** განსაზღვრული პირი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2. რექტორი 3. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 5. იურიდიული სამსახური	ყოველსემესტრულად (თებერვალი და ივლისი) ან /და მითითებული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.
2. საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება	**ჯგუფის ხელ-ლი:** განსაზღვრული პირი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი 3. კვლევებისა და განვითარების ცენტრი	ყოველსემესტრულად (თებერვალი და ივლისი) ან /და მითითებული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.
3. სტუდენტური სერვისების განვითარება	**ჯგუფის ხელ-ლი:** განსაზღვრული პირი 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 2. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 4. სტუდენტური თვითმმართველობა	ყოველსემესტრულად (თებერვალი და ივლისი) ან /და მითითებული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.
4. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინტერნაციონალიზაცია და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა	**ჯგუფის ხელ-ლი:** განსაზღვრული პირი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური 3. რექტორი	ყოველსემესტრულად (თებერვალი და ივლისი) ან /და მითითებული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად.

3.3. მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელები და შემადგენლობა ყოველწლიურად განისაზღვრება თჰუ-ს რექტორის ბრძანებით.
3.4. თითოეული მიმართულების მონიტორიგის ჯგუფის სამუშაო გეგმა და განრიგი განისაზღვრება ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ.
3.5. მონიტორიგის ჯგუფი შესრულებული სამუშაოს ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

4. მონიტორინგი და შეფასება ყოველწლიური ანგარიშგების გზით

4.1. მიმდინარე პროცესების (რომელიც სტრატეგიულ გეგმაში შესაბამისი (X) სიმბოლოთი აღინიშნება) შესრულების შეფასება ხდება სამოქმედო გეგმის დოკუმენტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ. აღნიშნული პირი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს თვითშეფასების სახით.
4.2. ყოველწლიური ანგარიში ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

5. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე რეაგირება

5.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგებზე, წლიურ ანგარიშებზე და თვითშეფასებების ანალიზს და მათზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს წარუდგენს რექტორს.
5.2. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების კომპლექსურ ანალიზს უნივერსიტეტის რექტორი წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ.
5.3. დამფუძნებლებს აქვთ უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვონ ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ.
5.4. დამფუძნებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უფლება აქვთ მიმართონ აკადემიურ საბჭოს სტრატეგიული გეგმაში და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
5.5. მონიტორინგისა და თვითშეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკადემიური საბჭოს იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს (უფლებამოსილების ფარგლებში), მათ შორის შესწორებები შევიდეს უნივერსიტეტის ხედვის/მისიის ამსახველ დოკუმენტსა და სტრატეგიაში, აგრეთვე დაიწყოს სამუშაოები უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადებისათვის.